თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №3

თბილისი, 15 სექტემბერი, 2025 წ.

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- პაატა სალია – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ლანა მორგოშია – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ნინო თანდილაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- ხათუნა თოთლაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ილია ბეგიაშვილი – საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
- ლაშა მაღრაძე – საქართველოს სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ავთანდილ კოჭლამაზაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი შარაბიძე – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;

- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- გიორგი მინდიაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- თამარ მემანიშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ქეთევან გოგელაშვილი – საქართველოს კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი კულტურის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ლევან ჩარგაზია – საქართველოს სპორტის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- თათია ჩიხლაძე – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ანა აფრიდონიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) იურისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

1. გიორგი სანტურიანი – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
2. ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის ნაცვლად.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- მაია ხარაძე – ა(ა)იპ „მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- შორენა მირცხულავა – ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“;
- დავით ლილუაშვილი – ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- დავით მათიკაშვილი – „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- გიორგი ლილუაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - პარტია „საქართველო“;
- ლალი ბუნტური – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“;
- შავლეგ ჭყოიძე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მამული, ენა, სარწმუნოება“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა პაატა სალიამ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. მისალმება;

2. მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული და კომისიის სამდივნოში შემოსული საკითხების განხილვა;
3. კითხვა-პასუხი;
4. სხდომის დახურვა.

ბატონმა პაატა სალიამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარეობს სხდომის აუდიოჩაწერა სხდომის ოქმის სათანადო დონეზე მომზადების მიზნით. ამის შემდეგ, დღის წესრიგის შესაბამისად, იგი გადავიდა მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული საკითხების განხილვაზე.

მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული პირველი საკითხი შეეხებოდა ტვ „პირველზე" გავრცელებულ სიუჟეტს, რომელშიც პარტიის „გახარია – საქართველოსთვის" წევრი ზაზა თავაძე საუბრობს. მისი თქმით, ამომრჩეველზე ხორციელდება სისტემური ზეწოლა, მიმდინარეობს რეპრესიები საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სკოლისა და ბაღის მასწავლებლებს აიძულებენ, ჩაერთონ საარჩევნო აგიტაციასა და გაყალბებაში. ამ საკითხზე სასაუბროდ ბატონმა პაატამ სიტყვა გადასცა ქალბატონ თამარ მემანიშვილს (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი). მისი განცხადებით, მსგავსი ხასიათის რაიმე ინფორმაცია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ოფიციალური წყაროებით არ შემოსულა, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამინისტრომ თავისი რესურსის გამოყენებით ინფორმაცია გადაამოწმა და მსგავსი ფაქტები ნამდვილად არცერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ფიქსირდება; თუ დამატებით რაიმე სახის ინფორმაცია ან მტკიცებულება იქნება წარმოდგენილი, სამინისტრო, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას განახორციელებს.

ბატონმა პაატამ დამატებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ, როდესაც წინა შემთხვევებშიც საუბარი შეეხებოდა არჩევნების გასაყალბებლად სხვადასხვა პირის პირადობის მოწმობების გამოყენებას და მსგავს ფაქტებს, არცერთ შემთხვევაში არავინ გამოჩენილა, ვინც იტყოდა, რომ ამგვარ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მისივე აღნიშვნით, ზემოდასახელებულ შემთხვევაშიც მისთვის უცნობია, რომელიმე მასწავლებელს ან აღმზრდელს გამოეთქვას პრეტენზია

ზეწოლასთან ან არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებული რაიმე მითითებების თაობაზე. კომისიის თავმჯდომარის თქმით, მსგავსი განცხადებები მხოლოდ განცხადებებად რჩება და თხოვნით მიმართა მსგავსი ინფორმაციის გამავრცელებელ პირებს, თუ არსებობს ამგვარი ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, აუცილებლად წარმოადგინონ ისინი უწყებათაშორის კომისიაში.

მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული მეორე საკითხი ეხებოდა „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბთან „ქართული ოცნების" მხარდამჭერებსა და აქციის მონაწილეებს შორის მომხდარ როგორც სიტყვიერ, ისე ფიზიკურ დაპირისპირებას. მასზე სასაუბროდ სიტყვა გადაეცა ბატონ გიორგი მინდიაშვილს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დირექტორი).

ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტში აღძრულია 2 სისხლის სამართლის საქმე; პირველი – სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, რომელიც გულისხმობს ძალადობას ჯგუფურად, მეორე – 187-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს ქონების დაზიანებას და განადგურებას. ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად დაკავებული იყო 3 პირი; 2 პირი – 126-ე მუხლით მიმდინარე საქმეზე, თუმცა, გათავისუფლდა მოგვიანებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად; ხოლო მესამე დაკავებულ პირს ბრალი წარედგინა 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქონების დაზიანებაზე და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო. გამოძიება ორივე საქმეზე მიმდინარეობს.

ამავე საკითხთან დაკავშირებით ბატონმა დავით მათიკაშვილმა („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო") თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მთელი არსი ამ პროვოკაციისა იყო და არის ჯანსაღ წინასაარჩევნო პროცესში ჩარევა და ხელის შეშლა; სხვა ვერაფერი დაერქმევა ამ ყველაფერს; ეს არის განგრძობადი პროვოკაცია, რომელიც შტაბის გახსნისთანავე დაიწყო; ადგილი ჰქონდა მრავალგზის შეურაცხყოფას, უცენზურო მიმართვებს და პროტესტს, რაც არანაირად არ თავსდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კანონით დადგენილ სტანდარტში; ეს არის ის ვერბალური ძალადობა, რომელიც, ბუნებრივია, არის მიზანმიმართული, რათა საზოგადოება გამოიყვანოს წყობიდან; პარტია „ქართული

ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ გმობს ძალადობის ნებისმიერ ფორმას; სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ორივე მხარის წარმომადგენლების მიმართ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, თუმცა, ხაზგასასმელია ის, რომ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატის საარჩევნო შტაბი არავის მივარდნია, არავის საქმიანობაში ხელის შეშლა არ მოუნდომებია, არავის მიმართ არ ჩაუდენია კანონსაწინააღმდეგო ქმედება და ის ყველაფერი, რაზეც საუბარია, მოხდა უკვე ზემოაღნიშნული აგრესიის, ძალადობისა და შეურაცხყოფის ფონზე; ამიტომ ხაზი უნდა გაესვას იმ მოვლენას, რამაც ეს ყველაფერი გამოიწვია; პირველ რიგში, პროვოკაციული ქმედებები უნდა შეწყდეს, რათა გაგრძელდეს ჯანსაღი წინასაარჩევნო პროცესი; სხვა არანაირი პრობლემა წინასაარჩევნო პროცესს არ გააჩნია; ყველაფერი მიმდინარეობს მშვიდად და წყნარად; ყველას თავისუფლად აქვს აზრის გამოხატვის და პროცესის წარმართვის საშუალება; ერთადერთი პრობლემა არის ეს რადიკალური ძალა, რომელიც, სამწუხაროდ, არ აცდის საზოგადოებას და თბილისს, რომ ნორმალური წინასაარჩევნო პროცესი წარიმართოს.

ზემოაღნიშნულ საკითხზე მოსაზრება გამოთქვეს ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა და ქალბატონმა ლალი ბუნტურმა (პარტია „საქართველოს“ წარმომადგენლები). მათ უარყოფითად შეაფასეს მომხდარი ძალადობის ფაქტები და აღნიშნეს, რომ ყველა მხარემ თავიანთ მომხრეებს უნდა მოუწოდოს თავშეკავებისკენ. ასევე, ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ დასჯით ორივე მხრიდან უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც რაიმე დააშავა. ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“) დამატებით განაცხადა, რომ მიუღებელია სამ დღეში იმ პირების გამოშვება, რომელთაც იძალადეს გოგონებზე, და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა შესაბამისი ღონისძიებების გატარებისკენ.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბთან მომხდარ დაპირისპირებაზე ისაუბრა ბატონმა დანიელ დავითაშვილმაც (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე). მისი თქმით, ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ მისვლას მერობის ერთ-ერთი კანდიდატის შტაბთან და შესაბამის ორგანოებს მოუწოდა რეაგირებისკენ, რათა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა წყნარად და მშვიდად აწარმოონ თავიანთი აქტივობები.

შემდგომ ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისია სწორედ იმისთვისაა მოწოდებული, რომ დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოებს. ზემოაღნიშნულ პროტესტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლებას თავისი ჩარჩოები და ფარგლები აქვს და ამასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება არსებობს; სამწუხაროა ის, რაც მოხდა, და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი შემთხვევები არ განმეორდება.

ქალბატონი შორენა მირცხულავას (ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა") კითხვა იმავე საკითხზე შეეხებოდა – ინციდენტის დღეს თბილისის მერობის კანდიდატის შტაბთან ნიღბიანი პირების ყოფნას მოჰყვა თუ არა შესაბამისი რეაგირება. კომისიის თავმჯდომარემ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს მიმართა თხოვნით, მომდევნო კომისიის სხდომაზე წარმოედგინა ინფორმაცია, დაპირისპირების შემდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოწერილი იყო თუ არა ნიღბის ტარების საფუძვლით.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია") აღნიშნა, რომ პროვოკაციები წინასაარჩევნოდ მუდმივად არის. ასევე, მნიშვნელოვანია კამერების განთავსებაც შტაბთან და პრევენციული ზომები შესაბამისი ორგანოების მიერ სწორად იქნა მიღებული. თუ ნიღბის მატარებელი პირების ვინაობის დადგენა მოხერხდება, შესაძლებელია, წინა არჩევნების მსგავსად, უცხო ქვეყნის მოქალაქეების იდენტიფიცირებაც მოხდეს.

ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისია, თავმჯდომარის მოადგილე) ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მსგავსი პროვოკაციით ზიანდება საარჩევნო გარემო. მისივე განმარტებით, დარღვევებთან დაკავშირებით არჩევნების გამოცხადებიდან დღემდე სულ სამი საჩივარია შესული ცენტრალურ საარჩვენო კომისიაში; ზემოთ ხსენებული ინციდენტებისა და დაპირისპირების მოწყობა კი, ორიენტირებულია არა სამართლებრივ ჩარჩოსა და რეალურად დარღვეული უფლების აღდგენაზე, არამედ იმ ილუზიის შექმნაზე, რომ წინასაარჩევნო გარემო იყო ძალადობრივი. თუ ამგვარი ვითარება გაგრძელდება, შესაძლოა, დადგეს საჭიროება, კომისიამ მანდატის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტების მიმართ გასცეს რეკომენდაციები, რომ საარჩევნო სუბიექტებმა და მათ შორის

სადამკვირვებლო ორგანიზაციებმაც ერთმანეთის კამპანიაში და საქმიანობაში ჩარევისგან თავი შეიკავონ. ამის საერთაშორისო გამოცდილებაც არსებობს, საქართველოსაც გამოუყენებია ეს მეთოდი ქცევის კოდექსების ფორმით. კოდექსებზე ხელმოწერით სუბიექტები იღებდნენ ვალდებულებას, რომ სხვა პარტიის საარჩევნო კამპანიის წარმოებას ხელს არ შეუშლიდნენ.

ამასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ნებისმიერმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა იმოქმედოს კანონის ფარგლებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, კომისია გააკეთებს შესაბამის განცხადებებს თავისი მანდატის შესაბამისად.

ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“) კომისიის მიმდინარეობისას დააფიქსირა, რომ სურდა ყველა სხდომის აუდიოჩანაწერის გადაცემა, რასთან დაკავშირებითაც განემარტა, რომ შეუძლია, კომისიას მიმართოს ჩანაწერების გამოთხოვის შესახებ წერილობით. რაც შეეხება მის მიერ წამოჭრილ მეორე საკითხს კახა კალაძის მერობის კანდიდატობიდან მოხსნის შესახებ, განემარტა, რომ შესაბამისი ფორმითა და სამართლებრივი საფუძვლების მითითებით დაასაბუთოს მისი პოზიცია და კომისიას წარუდგინოს წერილობით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხს წარმოადგენდა ბატონი გიორგი ლილუაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“) საჩივარი კახაბერ ბერიძისა და გვანცა ყურაშვილს შესახებ, რომლებმაც ვერ გაიარეს კანდიდატის რეგისტრაცია პარტიულ სიაში მოსახვედრად. ამის თაობაზე კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საჩივარი გადაგზავნილია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ამასთან, საარჩევნო კოდექსი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტებში სავალდებულოდ წარმოსადგენად ითვალისწინებს აქტიურ პირადობის მოწმობასაც. კახაბერ ბერიძეს არ აქვს აქტიური პირადობის მოწმობა ან/და პასპორტი, რადგან ორივე დოკუმენტს ვადა გაუვიდა 2025 წლის 26 მაისს. ანალოგიურად იყო გვანცა ყურაშვილის შემთხვევაშიც – მის პირადობის მოწმობას ვადა გაუვიდა 2025 წლის 15 ივნისს, ხოლო 20 აგვისტოს გაიცა ახალი პირადობის მოწმობა. ამომრჩეველთა ერთიანი სია ბოლო განახლებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაეცა 20 აგვისტომდე. შესაბამისად, სიების გადაცემის შემდეგ ჯერზე გვანცა ყურაშვილი იქნება სიაში.

ბატონმა გიორგი სანტურიანმა (ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) დასახელებულ საკითხთან დაკავშირებთ დაამატა, რომ ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა ზემონახსენები საჩივარი წარმოადგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაშიც, თუმცა, ისეთი ფორმით, რომელსაც არ ითვალისწინებს საარჩევნო კოდექსი. აქედან გამომდინარე, საჩივარი არ განხილულა. ამასთან, დაადასტურა ის გარემოებაც, რომ საარჩევნო კოდექსი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტებში ითვალისწინებს აქტიური/მოქმედი პირადობის მოწმობის წარმოდგენას. იმ მომენტისთვის, როცა წარმოადგინეს დოკუმენტები და მათი შედარება მოხდა ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებულ მონაცემებთან, ამ სიაში არ აღმოჩდნენ კახაბერ ბერიძე და გვანცა ყურაშვილი. სწორედ ამიტომ შემდგომი სარეგისტრაციო პროცედურები ვერ განხორციელდებოდა. შედეგად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქმედება იყო კანონთან შესაბამისი.

რაც შეეხება სიაში ცვლილების შეტანის ბოლო ვადას, ეს არის 16 სექტემბერი. მას შემდგომ, რაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადაეცემა განახლებული ამომრჩეველთა ერთიანი სია, პირთა მონაცემებიც აისახება.

ბატონი გიორგი სანტურიანის (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) თქმით, ბატონ გიორგი ლილუაშვილს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ ანალოგიურ საჩივარზე კანცელარიის თანამშრომელი დაუკავშირდა და მიეწოდა ინფორმაცია, რომ უნდა მოეწოდებინა მატერიალური ფორმით. ამის შემდგომ მან გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოში, სასამართლომ კი სარჩელი დატოვა განუხილველად. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით რეაგირება უკვე განხორციელებულია. ზეპირი განმარტების ფორმით მან კომისიის სხდომაზეც მიიღო ინფორმაცია. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი საქმისწარმოება ვერ დაიწყება, რადგან შესაბამისი პასუხი უკვე მიღებული აქვს განმცხადებელს.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ყველაფერს აქვს კანონით განსაზღვრული პროცედურა, მათ შორის, იმასაც, რასაც ბატონი გიორგი ლილუაშვილი ითხოვს. კომისიის მიზანია, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოხდეს შესაბამისი რეაგირება. როგორც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ისე დღევანდელმა კომისიამ განმარტა, თუ რატომ ვერ მოხვდა, ბატონი გიორგი ლილუაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ორი ადამიანი საარჩევნო სიაში.

ამასთან, ბატონი გიორგი სანტურიანის განმარტებით, (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, კანდიდატების წარმოდგენის ბოლო ვადა იყო 4 სექტემბერი. ბატონი გიორგი ლილუაშვილი ამ ორი კანდიდატურის დანიშვნას შეეცადა 4 სექტემბერს. ამის შემდგომ, რადგანაც ვერ დაინიშნა ორი კანდიდატი, გასაჩივრდა სასამართლოში. წარმოდგენილი სარჩელი სასამართლომ დატოვა განუხილველად. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით დავა დასრულებულია. კანდიდატების რეგისტრაციის ვადა უკვე გასულია, დამატებით რომელიმე კანდიდატზე რეგისტრაცია ან რეგისტრაციასთან დაკავშირებული განცხადებები და სარჩელები ვერც ცენტრალურ საარჩევნო კიმისიაში და ვერც სასამართლოში ამ ეტაპისთვის ვეღარ იქნება წარმატებული. აქედან გამომდინარე, ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა პასუხი მიიღო. ცესკო-ს მიერ მიღებული პასუხი არ იყო მისთვის დამაკმაყოფილებელი, სასამართლოში გასაჩივრდა – სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული და დავა დასრულდა.

ბატონმა შავლეგ ჭყოიძემ (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მამული, ენა, სარწმუნოების“ წარმომადგენელი) კითხვა დასვა სატელევიზიო მაუწყებლებთან დაკავშირებით. მისი თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში არ აძლევენ საშუალებას, სატელევიზიო ეთერში მიიღონ მონაწილეობა. ბატონი გიორგი სანტურიანის (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) პასუხის თანახმად, მოქმედი კანონმდებლობა უფასო სარეკლამო დროს ითვალისწინებს მხოლოდ იმ პოლიტიკური გაერთიანებებისთვის, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გადალახეს 3%-იანი ბარიერი, ასევე, მონაწილეობენ 2025 წლის არჩევნებში ან აღნიშნულ დაფინანსებას დღემდე იღებენ. მსგავსი პოლიტიკური გაერთიანება იყო მხოლოდ ორი. რაც შეეხება მეორე საკითხს, მაუწყებლებს ნამდვილად აქვთ წინასაარჩევნო დებატების არადისკრიმინაციულად გაშუქების ვალდებულება. თუმცა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების თანახმად, წინასაარჩევნო დებატების წარმოებისას უნდა მოიწვიონ ბოლო არჩევნებში მსგავსი შედეგის მქონე პოლიტიკური გაერთიანებები. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ყველა პოლიტიკური გაერთიანება წინასაარჩევნო გაშუქებისას ვერ მოხვდეს.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე) მადლობა გადაუხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. როგორც მან აღნიშნა, მისი სადამკვირვებლო ორგანიზაცია აკვირდება რუსთავისა და თბილისის 10 საარჩევნო ოლქს. ვაკის საარჩევნო ოლქის გარდა, ყველა ოლქში ჩატარებული ტრენინგების დროს შესაძლებელი იყო მისვლა და დასწრება. აღნიშნა ისიც, რომ ბევრ ოლქში წარმოდგენილი არ არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „გახარია საქართველოსთვის“ წარმომადგენლები.

სხდომის დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობიდან გამომდინარე, კომისია გადადის კვირაში ერთხელ კომისიის სხდომის ჩატარებაზე. განისაზღვრა მომდევნო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი – 22 სექტემბერი, 11:00 საათი.

მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს კომისიის მუშაობაში ჩართულობისთვის და ყველას უსურვა წარმატებები.

სხდომა დასრულდა 12:00 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: პაატა სალია

კომისიის მდივანი: ლანა მორგოშია